| გაზეთის ღირს | | | |
|---|---|---|---|
| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
| 12 . . | 10 — | 6 . . | 6 — |
| 11 . . | 9 50 | 5 . . | 5 50 |
| 10 . . | 8 75 | 4 . . | 4 75 |
| 9 . . | 8 — | 3 . . | 3 50 |
| 8 . . | 7 25 | 2 . . | 2 75 |
| 7 . . | 6 50 | 1 . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურისა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი



## ქართული თეატრი

კვირას, 15 მარტს,

ბ-ნ აღნიაშვილის ქართული ხორო გაჰმართავს რჩეულ სიმღერების

## კონცერტს.

კონცერტი სამის განყოფილებისაგან იქნება შემდგარი. პირველსა და მეორე სიმღერაში ექვს-ექვს სიმღერას იტყვის ხორო, ხოლო მეორეში—შვიდსა.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზედ


ტფილისი, 11 მარტს

საწნახელიდამ ყურძნის წვენის გამოშვების შემდეგ იწყება სხვა ახალი ხანა ღვინის კეთებისა და ამ ხანას ყველაზედ მეტი მნიშვნელობა აქვს ღვინის სიკეთისათვის. ეგ ხანა იგი დროა, როდესაც ტკბილი დუღილში შედის. ევროპაში დუღილისათვის ქვის ჭურჭელიც არის და ხისაც, როგორც მაგალითებრ, „ჩანი, ბოჭკა“ და ყველა ის ჭურჭელი ჰაერზედ დგას სარდაფში, ან მარანში. ჩვენში თითქმის ყველგან ქვევრი იციან, მიწაში ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაფლული. ამ ქვევრსაც გვიწუნებენ. შემდეგ ვნახავთ, — ზოგიერთ მცირეოდენ უხერხობასთან რამდენი სახერხო და სამჯობინარი სიკეთე სჭირს ჩვენებურს ქვევრსა და რამოდენად ეგ გვარი ჭურჭელი შეფერებულია მასთან, რასაც დუღილი ითხოვს და ღვინის შენახვა.

კარგის დუღილისათვის გარდა იმისა, რომ კარგად დამწიფებულის ყურძნის წვენი უნდა იყოს, საჭიროა სითბო არა ნაკლებ 10°-ისა და არა უმეტესს 15°-ისა რეომურის ტერმომეტრით. ევროპაში მარანში, ანუ სარდაფში, სადაც ტკბილი ჰდუღს, თუ 10°-ზედ ნაკლები სითბოა, ან „ჩანს“ ნამჯას შემოახვევენ გარშემო, ან ცეცხლს აანთებენ განგებ ამისათვის გაკეთებულ ბუხარში და ოთახსავით ათბობენ რამდენიც საჭიროა, — და თუ 15°-ზედ მეტია, განგებ აგრილებენ. მაშასადამე, სარდაფი ან მარანი განგებ ამ ორ შემთხვევისათვის აშენებული უნდა იყოს. ასეთი მარანი, თუ სარდაფი ძვირად დაუჯდება კაცს. ამაზედ რომ კაცი ზედგადაეგოს ჩვენში, ხეირის და გამორჩომის იმედიც იმოდენა უნდა ჰქონდეს, რომ ღვინომ, თავის საკუთარის ხარჯის გარდა, სარდაფზედ, ან მარანზედ დახარჯულის ფულის თავნი და სარგებელი თავის დროზედ ცოტ-ცოტაობით დაუბრუნოს პატრონსა. ზოგან არის კიდეც ჩვენში ამისთანა ძვირფასი მარნები, მაგრამ უფრო სახელისათვის, ვიდრე სახრავისათვის და გამორჩომისათვის. წინადაცა ვსთქვით: ღვინო ჩვენში ჯერ ძლივს ააყენებს ხოლმე თავის ხარჯის ფასსა და იმ მცირეოდენს გამორჩომას, რასაც ყოველი კაცი ყოვლის მრეწველობისაგან სამართლიანად მოელის. მაინც-და-მაინც ამისთანა მარანს მარტო შეძლებული კაცი თუ შესწვდება და ამისთანა კაცები ჩვენში მარტო ორიოდეა. უმრავლესობა კი ულონოა ამისათვის. ამიტომაც ჩვენში უფრო ბევრგან ფარღალალა მარნებია, ხშირად მარტო წალმით დახურული, ბევრგან უკედლებოცა. მაშასადამე, პირველ შეხედვით კაცი იფიქრებს, რომ ჩვენში არა სცოდნიათ ჰაერის სითბო-სიგრილის მნიშვნელობა დუღილისათვის. აბა ფარღალალა მარანში, რა თქმა უნდა, თავისუფლად იმუშავებს ცივი თუ თბილი ჰაერი და ამიტომ არც მეტს სითბოს ეშველება რამე და არც მეტს სიგრილესა. შესცდებიან ვინც ასე იფიქრებს: დააკვირდით, ჭურჭელი, რაშიაც ჩვენში ტკბილს ადუღებენ, რა ადგილას არის. იგი ღრმად ჩასმულია მიწაში და გარედ ჰაერზედ არა სდგას. რატომ? სხვათა შორის იმიტომ რომ ვერც გარეთი სიცხე ჩაატანს მიწას ისე მალე და ხელ-აღებით, ვერც სიცივე. მიწა ინახავს ქვევრს ერთსა და იმავე სითბო-სიგრილეში და გარეთი ჰაერის ცვლილება მაგოდენად არა სწვდება ქვევრსა და აქედამ ტკბილსა, რომელიცა ქვევრში ჰდუღს. იტყვიან, რომ რადგანაც ქვევრი აწოწვილია, ესე იგი, მაღალი, ამის გამო სხვა და სხვა წელს ტკბილისას სხვა-და-სხვა სითბო სიგრილე ექმნებაო: თავში, მიწის ზედა-პირზე ახლოს ტკბილი ერთს სითბო-სიგრილეში მოჰყვება, ქვედა-პირში სხვაშიო. ეს ცოტად თუ ბევრად მართალია, მაგრამ ეგ იმოდენა თაბაუთს არა იქმს, რომ ხელ-ჩასაკიდებელ მიზეზად გახდეს ქვევრის დაწუნებისათვის. გადამეტებულ სიცხეს ძნელად თუ შეხვდება კაცი, რადგანაც კაი ვენახის პატრონს მოუხდება ღვინის დადუღება ან ენკენისთვის ბოლოს, ან ღვინობისთვის დასაწყისს, როცა მაგრე რიგად არა ცხელა და ჩვენში ამ ხანებში იშვიათია ისეთი სიცივეც, რომ მიწა 10°-ზედ ნაკლებ სითბოზედ ჩამოახდინოს. საქმე ის არის, ამ 10° და 15°/-ს შუა თანაბარი სითბო-სიგრილე ჰქონდეს ჭურჭელს გარშემო, — და ქვევრს, მიწაში ჩვენებურად ჩაფლულს, უსათუოდ ეს თანაბარობა ექმნება, რადგანაც, აკი ვამბობთ, ცვლილება გარეთის ჰაერისა მიწას მაგრე რიგად ვერ ჩაატანს ხოლმე და მის სითბო-სიგრილეს ეგრე ადვილად ვერ შესცვლის. თუ კაცმა ტერმომეტრით გასინჯა მიწის სითბო-სიგრილე ქვევრის პირის თავიდამ ბოლომდე სხვა-და-სხვა სიღრმეზედ, არა გვგონია, რომ ენკენისთვის დასასრულს და ღვინობისთვის დასაწყისს ტერმომეტრმა 11°/-12°/-ზედ ნაკლები აჩვენოს და 15°/-ზე მეტი, თუ ძალიან იშვიათს წელიწადს არ შევხვდებით. ჩვენში გადამეტებულის სითბოსი უფრო ჰშინებიათ, როგორც ეტყობა, იმიტომ-რომ კარგი დამყენებელი ღვინისა ორთვილს ელის და მერე ჰკრეფავს ვენახსა. ორთვილი დასაწყისია სიცივისა. აქედამ სჩანს, გადამეტებულის სიცხის შიში უფრო ჰქონიათ. მართალია, ეს იმითაც აიხსნება, რომ ორთვილი ყურძნის მარცვალს ჰკუმშავს, ცოტად აშკნობს და ამბობენ, მეტს წყალს აცლისო. მაგრამ ამ პატარა სიკეთეს არ ანაცვლებდნენ იმ დიდს სიკეთესა, რაც ღვინოსათვის დუღილია, თუ თან იმისი იმედი არა ჰქონოდათ, რომ ჩვენში ენკენისთვის ბოლოს და ღვინობისთვის დასაწყისს დუღილისათვის მეტი სიცხე უფრო საფიქრებელია, ვიდრე მეტი სიცივე. ხშირად ასეც არის, ნამეტნავად კახეთში.

გარდა ამისა, ერთს რასმეს კიდევ ვიტყვით. ვინ არ იცის, ენკენისთვის დამლევს და ღვინობისთვის დასაწყისს დღის სითბო-სიგრილე რამოდენად იცვლება ღამღამობით ჩვენში. ეს ცვლილება ისეთი დიდია, რომ ყველა ჭურჭელს შეატანს, ჰაერზედ მდგომარეს ასე რომ ჭურჭელს დღისით რომ 12°-ს სითბო სცემდეს, ღამღამობით 9° და 10° სითბო დაჰკრავს, თუ არ კიდევ ნაკლები. ესოდენი ცვლილება განა არ იმოქმედებს ამ გვარს ჭურჭელში ღვინის დუღილზედ? მერე შეკრულს სარდაფსა და მარანსა ხომ წმინდა ჰაერისათვის სამუშავოდ სადმე ან ფანჯარა, ან კარი ღია უნდა ჰქონდეს, რომ ნახშირ მჟავის ბუღმა კაცი არ დაარჩოს. აშკარაა, ამ მეტნაკლებობას სითბო-სიგრილისას ამ შემთხვევაში ძნელად რამ ეშველება და ჭურჭელი, რაშიაცა ჰდუღს ტკბილი, დღისით მომეტებულ სითბოში იქნება და ღამით ნაკლებში. ქვევრს კი ამით ან სულ არა დაუშავდება-რა, ან ძალიან ცოტა რამ, იმიტომ-რომ მიწაშია და გარეთის ჰაერის ცვლილება ისე ადვილათ ვერ ჩაატანს და მაშასადამე ვერ შესცვლის მიწის სითბო-სიგრილესა.

ჩვენის მარნების ფარღალალობას ერთი სხვა სიკეთე სჭირს; ამისთანა მარანი უშიშია ადამიანისათვის და ამას არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს. დახურულს, ყოველის მხრით შეკრულს მარანს, თუ სარდაფს დუღილის დროს დიდი სიფრთხილე უნდა, თორემ შეიძლება კაციც შეიწიროს. როცა ტკბილი დიდს დუღილშია და ბუყბუყებს, მაშინ ზემოდ ბურცებს

# ფელეტონი

## კიდევ კრიტიკის უქონლობაზედ

(წერილი რედაქციის მიმართ)

„ივერიის“ 29 და 30 №№-ში დაბეჭდილია ორი მეთაური წერილი კრიტიკის უქონლობაზედ. ჩვენი მკითხველი საზოგადოება ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდა ამ წერილებს. ამის მიზეზი მარტო წერილების საგანი არ არის, — დალაგებული, დინჯი მსჯელობა და მართებული კილო, რომელიც წერილებს ცხადად ეტყობა, უნებლიედ იზიდავს მკითხველის ყურადღებას. თვით საგანი წერილებისა ხომ მეტად საყურადღებოა და ღირს შესანიშნავი. ყველა განვითარებული მკითხველი ჰხედავს, რომ კრიტიკის უქონლობა ჩვენის მწერლობის დიდს ნაკლს შეადგენს, ყველას ჰსურს, რომ ამ ნაკლს ბოლო მალე მოეღოს და ჩვენც გვესმენოდეს ძლიერი ხმა კრიტიკისა. ამ საერთო წადილს თავისი საბუთი აქვს. რაში მდგომარეობს ეს საბუთი?

ჯერ ერთი ესა, რომ კრიტიკის უქონლობის გამო ჩვენს მწერლობას გზა-კვალი აქვს დაბნეული. როცა კრიტიკა არ არსებობს, საერთოდ მწერლობამაც არ იცის, რა კარგია და რა ავი, რომელი გზა მარჯვეა და სწორი, რომელი გზა მრუდეა. აწინდელი ჩვენი მწერლობა ბევრჯელ სწორე გზას გადაუხვევს ხოლმე, ხშირად ბაძვით სცოცხლობს და მოძრაობს. რასაკვირველია, ეს ნაკლულევანება ცოტად თუ ბევრად თავიდამ აცილებული გვექნებოდა, თუ კი ჩვენს მწერლობას წინამძღოლად კრიტიკა ეყოლება. ამას სხვა რამეც უნდა დავუმატოთ: აქამდე არა თუ ძველი ან ახალი მწერლობა არ არის კრიტიკულად გარჩეული, არამედ არც ერთის ჩვენის თანამედროვე მწერლის მოძღვრება და მიმართულება არ არის დაფასებული, განხილული. მრავალნი ალტაცებით იხსენიებენ ჩვენს მაღალ ნიჭიერს პოეტებს, ბელეტრისტებს, მაგრამ რაშია მათი ნამდვილი ღირსება, ღირსებასთან რა ნაკლულევანება მიუძღვის თვითეულს მათგანს—ეს ძნელად თუ ვინმემ იცის... ჩვენ აქამდე არა გაგვეგება-რა—ერთი პოეტი, თუ ბელეტრისტი მეორისაგან რითი გაირჩევა, რა აქვთ მათ საერთო, რომელი მათგანი რა მიმართულებისაა, რამდენად მისაღებია და შესაწყნარებელი ეს მიმართულება. ზოგნი ხომ სულ უარ-ჰყოფენ ჩვენს პოეზიას, ბელეტრისტიკას და მთლად მწერლობასაც. ეს გალალებული და თავ-გასული უარ-ყოფობა იქამდისინ გაკადნიერდა, რომ ამ ბოლოს დროს უნიჭობა და ქონდრის კაცობაც კი შესწამა იმ მოღვაწეთა, რომელთაც გაამდიდრეს ჩვენი გონებითი სალარო... მკითხველს ვერა გაუგია-რა,—ერთნი ალტაცებით იხსენიებენ თანამედროვე მწერლებს, მეორენი კი ამავე მწერლებს ჩალის ფასადაც არ აფასებენ და მხოლოდ თავიანთ თავს ჰრაცხვენ აღმოსავლეთის ვარსკვლავად. რასაკვირველია, რომ მკითხველს საზოგადოებას თავ-ბრუ დაესხა ერთის მხრით უზომო ალტაცებისაგან და მეორეს მხრით იმავე უზომო უარ-ყოფობისაგან. მართლაც და საცოდავია და შესაბრალისი ქართული მკითხველი საზოგადოება, — გზა დაბნეული, თავ-მობეზრებული ლიტერატურულის ქორიკანაობით და აწინდელის ავტორიტეტების უმართებულო შეურაცხყოფით მან არ იცის ვის მიენდოს, ვისი სიტყვა ირწმუნოს!.. საზოგადოება ორ-წყალ შუაა და საითკენაც ტალღები გაისვრიან, ისიც იქითკენ მიცურავს.

თქვენც დამეთანხმებით, ბ-ნო რედაქტორო, რომ ამ გვარი მდგომარეობა მეტად საძნელოა მკითხველის საზოგადოებისათვის და თვით მწერლობისათვისაც ხომ დიდად მავნებელია,—საზოგადოების და მწერლობის შორის ზნეობითი კავშირი, სანატრელი ურთიერთობითი დამოკიდებულება არ არსებობს და ამას ორთავესათვის ზარალის მეტი არა მოაქვს-რა. ნამდვილი ლიტერატურული კრიტიკა მოსპობს ამ სამწუხარო მდგომარეობას, დაამყარებს სანატრელს ურთიერთობას მწერლობისა და მკითხველების შორის. ნამდვილი კრიტიკა თავიდგან მოგვაშორებს როგორც უზომო ქება-დიდებას, ისე ჩვენის მწერლების უსაფუძვლო შეურაცხყოფას. აი რისათვისა ვსთქვით ზემოდ, რომ საერთო წადილს კრიტიკის დაარსებისას თავისი საბუთი აქვსო.

მაგრამ საქმეც იმაშია—რა გარემოება უშლის ხელს კრიტიკის დაარსებას, რა არის მიზეზი კრიტიკის უქონლობისა? მეთაურის წერილების ავტორს მიზეზად თვით-მსჯელობის უქონლობა უცვნია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ პატივცემული ავტორი სცდება. თვით-მსჯელობა ზოგადი მიზეზია, იგი თვით-მსჯელობა არა თუ მარტო კრიტიკისათვის, საერთოდ ლიტერატურისათვისაც საჭიროა; პირ-და-პირი მიზეზი კრიტიკის უქონლობისა, ჩვენის აზრით, სულ სხვაა და არა ის, რომელიც ავტორს ერთად-ერთ მიზეზად მიუღია. ყველა კერძო მოვლენას და მაშასადამე კერძო ლიტერატურულს მოვლენასაც თავისი საკუთარი, კერძო მიზეზი აქვს, თუმცა საზოგადო ანუ ზოგადი მიზეზიც მოქმედობს მოვლენაზედ... კრიტიკის უქონლობასაც თავისი კერძო მიზეზი უნდა მოეძებნოს და აი სწორედ ეს დაჰვიწყებია ავტორს. „თვით-მსჯელობა“, რომელიც ავტორს უცვნია კრიტიკის უქონლობის მიზეზად, ისე-

ანუ ქაფს მოიგდებს. აქედამ ერთნაირი ბუღი გამოდის, რომელსაც ნახშირ-მჟავეს ეძახიან მეცნიერნი. ეს ბუღი რომ ჩაისუნთქოს კაცმა, ძალიან ადვილად დაიხრჩობა. რომ დახურულს და შეკრულს მარანში, თუ სარდაფში კაცს ეს არ დაემართოს დუღილის დროს, ხშირად უნდა ამისთანა სარდაფსა, თუ მარანში წმინდა ჰაერი ამუშავოს და ატრიალოს, რომ ის ბუღი გავიდეს და წმინდა ჰაერი შევიდეს. ევროპაში ამის ასაცდენელად კარგად დამწვარს კირსაც ჰხმარობენ: სარდაფსა, თუ მარანში მოჰფენენ ხოლმე კირსა და რადგანაც ნახშირ-მჟავეს ძალიან იზიდავს კირი, ამიტომაც რამოდენადაც ამოდის დუღილის გამო, იმოდენად კირი სჭამს, თუ ესე ითქმის.

ჩვენებურს კაცს გამოცდილებით უცვნია ეს ვითარება დუღილისა და რომ მეტი ჯაფა და სიფრთხილე არ აეკვიატებინა, სამჯობინარად დაუნახავს ღია მარანი, საცა ყოველთვის ნახშირ-მჟავესაც გამოსავალი აქვს და წმინდა ჰაერსაც შესავალი; ასადუღებლად საჭირო სითბო-სიგრილის თანაბარობისათვის ქვევრი ცოტად თუ ბევრად ღრმად ჩაუსვამს მიწაში და ამასთანავე აუცილებელი საჭიროება ღვინის კეთებისა თავის ჯიბის მეტნაკლებობისათვის შეუფერებია. აქ, როგორც ვნახეთ, მაგრე რიგად არც მწვადი იწვის და არც შამფური.

# ახალი ამბავი

*** კვირას, 15 მარტს, ბ-ნის აღნიაშვილის ხორო იტყვის შემდეგს სიმღერებს პირველს განყოფილებაში.

„ქართველო, ხელი ხმალს იკარ“... (მგზავრული) ნოტ. გადაღ. ბ-ნ ბენაშვილისაგან.

«გალიაში რომ გაგზარდე» — ნოტ. ბ-ნ მამალაძისაგან.

„უდარდელი კაცი“ აკაკისა — ხმა ოპერიდგან „Волшебный стрѣлокъ“.

„ცრემლი“ — ნემეცურ ხმაზე.

„მოვალ, მაგრამ“...

„ნეტავი, გოგო მე და შენ“...

მეორე განყოფილებაში

„ალილო“.

„რება-რება“.

„არაგვი“, ცახელისა — ჩეხურ ხმაზე

„ჩუხჩუხით ჩამორბოდა“... ცახელისა, შვედურ ხმაზე.

„მადლი შენს გამჩენს, ლამაზო“... ნ. ბარათაშვილისა.

«მუმლი მუხასა...»

მესამე განყოფილებაში

„ურმული“ შიდა-კახეთისა, ზემოქართლისა და გარე-კახეთისა.

„დღეს მერცხალი შემოფრინდა..“ აკაკისა.

„კუჩხა ბედინერა“ — ნოტ. გადაღ. ბ-ნ ბენაშვილისაგან.

„საქართველოს დედოფალი...“

„ალსდეგ გმირთ-გმირო...“ ფინური მარში.

„გოგონა და გოგონა“.

„მუშური მარში“.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ ახალგაზდა მხატვარს გ. გაბაშვილს, რომელიც პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში სწავლობს, უკანასკნელს თებერვლის ეგზამენზე აკადემიის საბჭოსაგან ქების ფურცელი მიუღია. სულ 17 მოსწავლე ყოფილა ეგზამენზე და ამ ჩვიდმეტში მარტო ორსა ჰრგებია ასეთი საჩუქარი კარგის ხატვისა და ბეჯითის მეცადინეობისათვის. ბ-ნი გაბაშვილი ზაფხულისათვის საქართველოში აპირობს მოსვლას და აქ უნდა დაიწყოს ხატვა დიდის სურათისა. სურათს სახელად ერქმევა «ქელეხი», ანუ, როგორც ჩვენში ამბობენ, ალაპი, რომელსაც გადაიხდიან ხოლმე მიცვალებულის სულის მოსახსენებლად.

*** პარასკევს, 13 მარტს, კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას საგანგებო კრება აქვს, საღამოს $7^1/_2$ საათზე. კრება მოისმენს ბ-ნის ტარატინოვის მოხსენებას: როგორ უვლიან და მოჰყავთ ბამბა ჩრდილო-ამერიკასა და ამიერ-კავკასიაში. კრებაზე არა-წევრთაც შეუძლიანთ დაესწრონ.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“ მაისის დამლევს აპირობს გაჰმართოს ქუთაისში ლატარეია-ალეგრი.

*** კვირას, 15 მარტს, დილის 12 საათზე, როგორც ამბობენ, სამეურნეო საზოგადოების დარბაზში წაიკითხავს ბ. ნ. ცხვედაძე თავის პირველს ლექციას საპედაგოგიო საგნებზე მასწავლებელ და აღმზრდელ ქალთა ურთიერთის დახმარებულის საზოგადოების წევრთათვის. არა-წევრთ ნება არა აქვთ დაესწრონ ამ ლექციაზე.

*** ამას წინად ტფილისის მეტეხის ციხეში ერთი კაცის-მკვლელობა მოხდა. ტუსაღმა ნოზაძემ მეორე ტუსაღი ბაქრაძე ჯიბის დანით მოჰკლა, როგორც ჩვენის გაზეთის მკითხველებსაც მოეხსენებათ. მეტეხის ციხის მმართებლობამ გამოიძია, თუ საიდგან უშოვნია ნოზაძეს დანაო და აღმოჩნდა, რომ ნოზაძეს თავის ლოგინში ჰქონიყო თურმე. ამის გამო ზემოხსენებულმა მმართებლობამ განკარგულება მოახდინა, რომ ტუსაღებს ნება აღარა ჰქონდეთ ციხეში თავისი საკუთარი ლოგინი მოიტანონ, რადგან შეიძლება ამ ლოგინში სხვა-დასხვა იარაღი ჰქონდეთ დამალულიო. (გაზ. „კავკ. მიმოხ.“)

*** ბევრი რამ, რაც აქამდე უსარგებლოდ იკარგებოდა, ახლა ლამის შემოსავლის წყაროდ გადაიქცეს. აქამდე არაყის მხდელნი ტყუილა-უბრალოდ ჰყრიდნენ ხოლმე გამონახადს ჭაჭას; ახლა-კი ამ ჭაჭას აგროვებენ და ამზადებენ ქარხნებში ღვინის მარილს. შიდა-კახეთში, სოფ. ზემო-ხოდაშენსა და ყვარელში, საცა ბლომად არის არაყის ქარხნები, ამზადებენ გამოხდილ ჭაჭისაგან ამ გვარს ღვინის მარილს; ეს ღვინის მარილი ჩამოაქვთ თელავში და აქ ქიმიკოსი მერაბოვი, რომელსაც სწავლა მიუღია შვეიცარიაში, ამზადებს ნამდვილს ღვინის მარილს. ეს ღვინის მარილი სამზღვარ-გარეთ ძალიან ძვირადა ფასობს.

*** სოფ. ტყვიავში ცოფიანის მგლისაგან დაკბენილი აზნ. ქრ. კორინთელი 9 მარტს დეპეშით დაიბარა ტფილისის გუბერნატორმა; 10 მარტს დაბარებული გამოეცხადა გუბერნატორს, რომლის თხოვნითაც მთავრობისაგან მიეცა შემწეობა და დღეს 11 მარტს მგლისაგან დაცოფილი უკვე გაემგზავრა ოდესას ექიმ გამალეის საავად-მყოფოში ცოფის ასაცრელადა და მოსარჩენად.

*** იმერეთიდგან ჩამოსულებმა გვიამბეს, რომ ყვირილის წყალი ძრიელ არის მოვარდნილი და რკინის-გზის ხიდს ამ მდინარეზე ძირს დაუწევიაო. ამის გამო მატარებელი ამ ხიდზე ვერ ჰბედავს შედგომას და ხალხი ფეხით გადადის ხიდსა და სხვა ახალს ვაგონებში გადასხდება ხოლმეო.

*** ხმოსანს ივანენკოს, იმავე გაზეთის სიტყვით, საქალაქო საბჭოში შეუტანია წინადადება, რომელშიაც ითხოვს, რომ ქალაქმა სთხოვოს სახელმწიფო ქონებათა მინისტრს და მუშტაიდის ბაღი ქალაქმა შეიძინოსო.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გერმანია აღარა ხუმრობს, ყოველ ღონის-ძიებასა ხმარობს, რომ საფრანგეთი როგორმე დაიყოლიოს და დაიმეგობროს. აქამდინ ამას მარტო გაზეთები ცდილობდნენ, ეხლა თვით ბისმარკი შესდგომია ამ საქმეს. საფრანგეთის წარმომადგენელს ლესეპსს, რომელიც ეხლა ბერლინში იმყოფება, ბისმარკი თავს დასტრიალებს და ელოლიავება. გაზეთების ქება-დიდებას საზღვარი აღარა აქვს. მაგალითად, გაზეთი „Nordd. Allg. Zeit.“-ი აი რას ამბობს:

ჩვენ გვაკვირვებს ლესეპსის დიდი ნიჭი და იმისი შორს-მჭვრეტელობა პოლიტიკის საქმეებში. ინგლისის სახელმწიფო კაცნი ამის ფეხსადაც არა ღირან. ამ დღეებში ლესეპსი სადილად იქნება ბისმარკთან და ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ბისმარკი ტკბილის საჭმელის მაგივრად ეგვიპტეს მიართმევს საფრანგეთის „დიდს კაცსა“.

ბერლინის გაზეთები მაინც კიდევ იმდენად გაწურთვნილნი და თავდაჭერილნი არიან, რომ სუყველას არ ამბობენ, რაც გულში აქვთ, მაგრამ გაზეთ «Московскія Вѣдомости»-ს ხომ არა გამოეპარება რა. აი ეს გაზეთი რას გვაუწყებს:

დღეს გერმანია მზად არის ყველაფერი აღუთქვას საფრანგეთს, თვით ბერლინის ერთგული ბელგიაც კი, ოღონდ გერმანიას ხელ-ფეხი გახსნილი ჰქონდეს აღმოსავლეთში. საქმეს მხოლოდ ერთი გარემოება უშლის ხელსა. ეს გარემოება ის გახლავთ, რომ საფრანგეთი გულს ძრიელ ბევრს ეკითხება, „გულის-თქმას“ ეძლევა.

დიდ ოსტატობას და უნარს გამოიჩენს ბისმარკი, თუ ისეთს წამალს მოიგონებს, რომ საფრანგეთის გულის ტკივილს მალამოდ ეცხოს და საფრანგეთი დაიახლოვოს.

***

გაზეთი „Новое Время“ ერთს უცნაურს ამბავს მოგვითხრობს და თანაც გვარწმუნებს, რომ ეს ნამდვილი ამბავიაო. ჩვენც საბუთი არა გვაქვს, არ დავუჯეროთ. ეს ამბავი სასამართლოში მომხდარა.

ერთი მოჩივარი მისულა სასამართლოში თავის საქმის შესატყობად. მოჩივარს სასამართლოს საქმეების მწარმოებელისათვის მიუმართავს და აი ამ ორთა შორის ასეთი ლაპარაკი ჩამოვარდნილა:

მოჩივარი. ნება მიბოძეთ, ჩემი საქმე გადავსინჯო.

საქმის-მწარმოებელი. ჯერ ერთი აბაზი გვიბოძეთ.

მოჩ. რას ბრძანებთ, რისთვის?

საქ. მწარ. ამოიღეთ-მეთქი ერთი აბაზი.

მოჩ. არ მეტყვით, რისთვის? მე ხომ მარტო იმასა გთხოვთ, რომ საქმე გამასინჯვინოთ.

საქ.-მწარ. მოგახსენებთ: თქვენა სთხოულობთ, ქაღალდი მაჩვენეთო, მაშასადამე თხოვნის ქაღალდი შემოგაქვთ; თხოვნაზე კი დაწესებულია, ორი შაური უნდა გამოერთოს და ორი შაურიც კიდევ მოწმობისა, რადგან ყოველ თხოვნის ქაღალდს შემოწმება უნდა.

მოჩ. ბატონო, მე თხოვნის ქაღალდის შემოტანა აზრადაც არა მქონია.

---

თი ზოგადი მიზეზია, რომ ამ მიზეზით აიხსნება არა თუ ლიტერატურის მდგომარეობა, არამედ ხალხის მთელის ცხოვრების ასეთი თუ ისეთი მდგომარეობაც; ხალხის ყოველ გვარი მოძრაობა და წარმატება სწორედ ამ მიზეზით არის გამოწვეული და მასზედ დამყარებული. ყველა საზოგადოება სულდგმულობს თვით-მსჯელობით. აიღეთ ომელი მხარეც გსურთ წარმატებისა — გონებითი, ქონებრივი და სხ., და დაინახავთ, რომ სწორედ ეგ ყოველად ძლიერი თვით-მსჯელობა არის უმთავრესი მიზეზი წარმატებისა. თუ ამ მიზეზს ასეთი მრავალ-გვარი მნიშვნელობა აქვს, მაშ კერძო მოვლენის ახსნა ამ მიზეზის გავლენით, სულ ცოტა, საგნის ახსნის თავიდამ აცილება იქნება. ჩვენის აზრით, სწორედ ასეც მოსდის პატივცემულს ავტორს, — „ჩვენი სისუსტე სწორედ ამ თვით-მსჯელობის, უქონლობაშიაო...“ ეს ხომ მთლად ცხოვრებაზედაც ითქმის და არა მარტო კრიტიკის უქონლობაზედ. მაგრამ საქმეც ისაა, რომ ლიტერატურულის კრიტიკის დაარსებას და აღორძინებას ბევრი სხვა გვარი გარემოებაც ხელს უწყობს.

მაგრამ, ვგონებთ, რომ არც თითონ ბ-ნი ავტორი ადგია მტკიცედ თავის დედა-აზრს. ავტორი აღტაცებით იხსენიებს ახალის „ჩვენის ლიტერატურის სიღრმეს“, «ჩვენის პოეზიის სიმაღლეს...» თუ მართლა ჩვენი ლიტერატურა „ღრმაა“ და პოეზია კიდევ „მაღალია“, მაშ ჰსჩანს, ბ-ნო რედაქტორო, რომ ქართველ მწერლებსაც ჰქონიათ „თვით-მსჯელობა“, „თვით-მოქმედება“. ასე რომ არ იყოს, როგორ და რომლის ძალის მეოხებით მიაღწევდა ლიტერატურა „სიღრმეს“ და პოეზია „სიმაღლეს“? მხოლოდ სულიერი და გონებითი თვით-მსჯელობა და თვით-მოქმედება ჰბადავს ლიტერატურის „სიღრმეს“ და პოეზიის „სიმაღლეს“; სადაც ეს უზენაესი ძალა და ნიჭი თვით-მსჯელობისა გამქრალია (თუ-კი ეს შეიძლება), იქ ლიტერატურა ან სულ არ არსებობს და თუ არსებობს, ვაი იმისთანა არსებობას! მაშასადამე, ავტორისაგან დასახელებული „სიღრმე“ ლიტერატურისა და „სიმაღლე“ პოეზიისა აშკარად ამტკიცებს, რომ თვით-მსჯელობის და თვით-მოქმედების უქონლობას ჩვენს ლიტერატურაში ადგილი არცა ჰქონია და არც ეხლა აქვს. არა, ამ საგნის შესახებ კამათობა თუ კი შეიძლება, მხოლოდ იმ მხრით, — რამდენად გახსნილი გვაქვს თვით-მსჯელობა და თვით მოქმედება; ერთისა და მეორის სრულს უქონლობაზე ბაასი შეცდომა იქნება. ეს უმთავრესი თავისი შეცდომა ავტორსაც თავის უნებურად ცოტად გაუსწორებია და ამიტომ მეორე წერილის ბოლოში მარტო თვით-მსჯელობის, თვით-მხედველობის გაუხსნელობას ასახელებს კრიტიკის უქონლობის მიზეზად, — „ჩვენს ინტელიგენციას სწორედ ეგ უნარი თვით-მსჯელობისა, თვით-მხედველობისა არა აქვს გახსნილი და გაშლილიო... ეგ არის მიზეზი, რომ ჩვენ ჩვენი კრიტიკა არა გვაქსო“... წინად კი იმას ამბობდა, რომ ჩვენი ინტელიგენცია სრულიად მოკლებულია თვით-მსჯელობასაო.

ეგრედ წოდებული ლიტერატურული კრიტიკა ჩნდება და იბადება მხოლოდ მაშინ, როცა ინტელიგენცია ითვისებს ლიტერატურულს განათლებას, საფუძვლიანადა სწავლობს თავის მშობლიურს ლიტერატურას. მწერალმა რომ კრიტიკოსობა გასწიოს და იკისროს, საჭიროა, ღრმად და ზედ-მიწევნით იცოდეს ის საგანი, რომლის კრიტიკულად განხილვა ჰსურს. უამისოდ კრიტიკული მსჯელობა ყოვლად შეუძლებელია. და თქვენც დამეთანხმებით, ბ-ნო რედაქტორო, რომ ყველა ნამდვილი კრიტიკოსი ყოფილა ღრმა მცოდნე მშობლიურის ლიტერატურისა. ჩვენში კი სულ სხვასა ვხედავთ. ჩვენს ინტელიგენციას არა თუ სისტემატიურად და საფუძვლიანად არა აქვს შესწავლილი მშობლიური ლიტერატურა, არამედ იმოდენა ცოდნაც არა აქვს, რამოდენაც შეიძლება კაცმა ქრისტომატიიდგან შეიძინოს. რასაკვირველია, ამ უცოდინრობას თავისი მიზეზი აქვს, მაგრამ ჩვენ ხომ ამაზედ არა ვლაპარაკობთ. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ საზოგადო მოვლენა, რომ ქართველმა ინტელიგენციამ არ იცის თავისი ლიტერატურა და მაშასადამე არც შეუძლიან კრიტიკული მსჯელობა გამოიჩინოს. ლიტერატურის ცოდნას ვინლა ჰსჩივის, ინტელიგენციას, ასე გასინჯეთ, სამშობლო ენაზედ ლაპარაკიც ვერ მოუხერხებია. იქნება თქვენ ცილის წამებად მიიღოთ ეს სიტყვები, მაგრამ საქმე კი სწორედ ასე გახლავთ. აი ამისი დამამტკიცებელი მაგალითიც: „ივერიის“ 13 №-ში დაბეჭდილია საყურადღებო წერილი ოდესსიდამ. ჩვენს მოსწავლე სტუდენტობას ახალ-წლის წინა ღამეს ნადიმი გაუმართავს და როგორც ახალგაზდობას შეეფერება, ლხინის დროს სიტყვები წარმოუთქვამთ... „სიტყვები წარმოითქვა ქართულად და რუსულად. რუსულად ლაპარაკობდნენ, იმიტომ რომ ქართულად ვერ ახერხებდნენ გამოეხატათ თავისი აზრი არ შეგვიძლიან არ დავძრახოთ ჩვენი სტუდენტობა, რომ ქართულს ენაზე ასე სუსტადა და მწყრალად ბრძანდებიან. ბევრმა წარმოსთქვა ქართულად სიტყვა, მაგრამ დიდის გაჭირებით; ზოგს ჰსურდა ქართულად ეთქვა, დაიწყებდა, მაგრამ.. მაგრამ საფანელი შემოაკლდებოდა ხოლმე და ისევ რუსულად დაიწყებდა.“ მოდი და მოსთხოვე ამ ნაირს ინტელიგენციას კრიტიკული მსჯელობა ქართულს ლიტერატურაზედ!? რასაც ბ-ნი კორრესპონდენტი ოდესსის ქართველს სტუდენტობაზედ იწერება, ისევე უნდა ითქვას დანარჩენს ქართველს სტუდენტობაზედაც. ვგონებთ, რომ ამაზედ თვით ჩვენი ინტელიგენცია დაგვემოწმება...

ნ. ურბნელი

(შემდეგი იქნება)

საქ.-მწარ. ხომ სთხოულობთ,—მაშ სულ ერთია, თუ გინდ სიტყვით გითხოვნიათ, თუ გინდ თქვენი თხოვნა ქაღალდზე დაგიწერიათ, და ყოველ თხოვნაზე კი ორი შაური დაწესებული.

მოჩ. უკაცრავად, ბატონო, მე მგონია თქვენ უკანონოდ სთხოულობთ ჩემგან ფულსა... მე ვიჩივლებ, რომ ეს... ეს... ეს...

საქ.-მწარ. ჰო, თქვენ ჩივილსაც აპირებთ! მაშ ამისი კიდევ ცალკე ორი შაური უნდა გადიხადოთ.

მოჩ. ეს რაღას ნიშნავს? ორი შაური კიდევ რისა უნდა გადვიხადო?

საქ.-მწარ. საჩივრისა. ყოველ გვარ თხოვნის ქაღალდზედ თუ საჩივარზე ორი შაურია დაწესებული გადასახდელადა.

აი თუ გნებავთ, ნამდვილი ცოდნა კანონებისა ეს გახლავთ! ფუსუსი არ არის, რომ ასეთი ნიჭიერი „საქმისმწარმოებელი" იმ ნეტარ ხსენებულ «აბრუნდი-დაბრუნდის»-ს დროს არ იყო. აი თუ მართლა საქმეებს დაატრიალებდა!..

## წერილები რედაქციის მიმართ

### I

ბ-ნო რედაქტორო! თქვენის გაზეთის მე-35 ნომერში გადაბეჭდილია „ნოეოე ერემიიდამ" რეცენზია კავკასიელების საღამოზედ, რომელიც გაიმართა 8 თებერვალს, და ბოლოს ნათქვამია, ვითომც უმეტესი ნაწილი შემოსავლისა ქართველების სასარგებლოდ არის დანიშნულიო. ეს შეცდომაა, არამც თუ უმეტესი, არამედ უმცირესი ნაწილიც არა ჰრგებიათ ქართველებს, თუმცა საღამო გაიმართა საერთო კავკასიელების სახელით. ეს კიდევ არაფერი. ზემოხსენებული საღამო თვით ჩვენს საკუთრივ გამართულს საღამოს (4 თებერვალს) წინ გადაეღობა და ბევრი რამ დააკლო. ბილეთები ორისავე საღამოსი ერთსა და იმავე დროს ისყიდებოდა და ისეც ცოტა რიცხვი ჩვენის საზოგადოებისა ორად გაიყო, მით უმეტესს, რომ საზოგადოებაში რაღაცა მანქანებით გავრცელდა ხმა, ვითომც მეორე საღამოც ქართველების სასარგებლოდ იმართებაო. გარდა ამისა საზოგადოებისაგან არა ერთი საყვედური მოგვესმა, ერთ კვირაში ორი საღამო რაღ გამართეთო და. ჩვენ, ქართველები-კი არაფერში დამნაშავენი არა ვყოფილვართ: თუ ჩვენის სახელით სხვა სარგებლობდა, ბრალი იმ სხვას უნდა დაედოს და არა ჩვენ.

სან. ლორთქიფანიძე

პეტერბურგი, 1 მარტი

### II

ბ-ნო რედაქტორო! ურიას ერთი დღე შეხვდა და ისიც შაბათიო, სწორედ მე მამივიდა ასეთი საქმე. როგორც იქნა გავბედე თქვენის გაზეთის „ივერიის" დაკვეთა, მაგრამ ეს გაბედულება სანანულად გამიხდა. არ ვიწერდი აქამდის გაზეთს არა სიძუნწით, არამედ სულ სხვა მიზეზის გამო. გამოცდილებით დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს საქმე ოჩემჩირეში მცხოვრებელისთვის სრულებით უსარგებლოა. ხშირად მესმოდა ჩივილი იმათგან, რომელნიც სამსახურის გამო ძალა უნებურად ცხოვრობენ ოჩემჩირეში, რომ ტყუილუბრალოდ ეხარჯავთ ფულს გაზეთებზედაო, რადგან გაზეთის ზოგიერთი ნომრები ან სულ არ მოგვდის, ან ძალიან გვიან გვიარდება ხელშიო. მაგრამ მაინც გავბედე და დავიკვეთე. ეხლა კი ვწუხვარ. როგორ არ ვიწუხო, როდესაც, მაგალითებრ, თებერვლის პირველის რიცხვების ნომრები მარტში უნდა მივიღო. აი დღეს 2 მარტსა ჯერ მივიღე ნომერი თებერვლის ათისა, № 30 ერთის კაცის ხელით, მერე საღამოზედ მეორე კაცის ხელით მე 4, 5 და 6 თებერვლის რიცხვებისა, მე 24 და 31 იანვრისა. ეს ამისთანა დროს, როდესაც გაზეთი ნამეტნავად საინტერესო და საჭირო არის კაცისათვის, რომელიც ცოტაოდნად მაინც ადევნებს თვალყურს პოლიტიკას. რა გვეშველება, ნუ თუ ქვეყანას გამოკლებულნი და მოშორებულნი უნდა ვსცხოვრობდეთ ამ ოჩემჩირეში? რა დავაშავეთ ამისთანა? ვექო, სახალინის კუნძულზედ ხომ არა ვცხოვრობთ! ოჩემჩირე მაინც და მაინც ისეთი მოშორებული ადგილი არ არის, რომ კორრესპონდენციას თითეები უნდოდეს აქ მოსაღწევად. ოჩემჩირე ზედ შავი-ზღვის პირად სდევს. აქ ყოველს კვირას გემი გაჩერდება ხოლმე, მაგრამ არაფერი კი არ მოაქვს ჩვენთვის. ვისი ბრალია? ნუ თუ რედაქციას არ შეუძლიან საჭირო გემთა საზოგადოებასთან განწყობილება იქონიოს გაზეთის ტარების შესახებ? ეს ადვილი საქმეა საზოგადოებისათვის, რადგანაც მას ოჩემჩირეში აგენტი ჰყავს. ფოსტა არა გაქვსთო — გვეტყვიან. ღმერთო, რა ვქნათ, რა ჩვენი ბრალია? პირადაც ვეხვეწეთ, ვისაც ეს საქმე აბარია, ფულიც შევიტანეთ ფოსტის პირველად დაარსების საჭიროებისათვის, გაზეთებშიაც ბევრი ვიყვირეთ, მაგრამ მაინც არ იქნა, არა გვეშველა-რა არას გზით. შარშანდელის და წრევანდელის თოვლიევით უქმად ჩაიარა ჩვენმა მეცადინეობამ დალოცვილ ფოსტის გამო. ახლა თქვენ თუ რამეს გვიშველით, თუ არა და დავრჩებით ისე, როგორც ვიყავით.

ამისათვის გთხოვთ, ეს ჩემი წერილი, ბ-ნო რედაქტორო, გამოაქვეყნოთ თქვენის გაზეთის შემწეობით. იქნება მოგვხედოს ვინმე მოწყალის თვალით, გაგვიჩინოს სანატრელი ფოსტა და გამოგვიყვანოს სიყრუისაგან.

მ. მაჭავარიანი

დ. ოჩემჩირე

## რუსეთი

მოსკოვი (მოწერილი ამბავი). შაბათს, 28 თებერვალს, პუშკინის თეატრში გამართული იყო სომხური წარმოდგენა. მოთავე ამ საქმისა იყო არტისტი ტფილისის სომხურის თეატრისა საფრაზიანი თავის მეუღლით. საფრაზიანს, როგორც შევიტყეთ განცხადებიდგან, მიუძღვის ერთი შესანიშნავი ღვაწლი—იგი არის დამაარსებელი თათრულის სცენისა კავკასიაში („основатель татарской сцены на Кавказѣ"). ამ გვარმა „რეკლამამ" გაგვიტაცა სომხურს წარმოდგენაზედ. თამაშობდნენ ნაცნობს პიესას: „დამნაშავის ოჯახსა". მოუთმენლად ველოდით მეორე მოქმედებას. «კორადო»—დამნაშავე, როგორც მოგეხსენებათ, პირველად მაშინ შემოდის სცენაზედ. არტისტს გაუთავებლის ტაშის-კვრით და «ბრავოს» ძახილით მიეგებნენ. ყურთ-სმენად და თვალ დაუხამხამებელ მაყურებლად გადავიქეცით, ველოდით დახელოვნებულ არტისტის თამაშობას, ველოდით, როგორც იტყვიან რუსები, პოსსარტს „въ миніатюрѣ." იმედი გაგვიცრუვდა: თამაშობა ისეთი არ გამოდგა, როგორც რეკლამა გვპირდებოდა—საფრაზიანი დიდი ვერაფერი არტისტი ყოფილა. სტუდენტმა ზაქიანმა უკეთესად ითამაშა თავისი როლი, ვიდრე სომხურის თეატრის წარმომადგენელმა. არტისტმა უფრო გატაცებით, ხმის გაწკაპით და ხელების თამაშობით გაამხო თავის გამოშვარკა საპყრობილიდამ, ვიდრე დაგვისტა ის დრამატიული სურათი, როდესაც მამა შეხვდება თავის რამდენისამე ხნის უნახავს ქალს. იმდენად სუსტად მოუვიდა ეს სცენა, რომ მაყურებლებში ადგილების მაგივრად ღიმილი და სიცილი გამოიწვია. აგრეთვე არტისტ-ქალს საფრაზიანს ვერ ვეტყვით მადლობას. რობერტის როლის შემსრულებელს კარგი ნიჭი და გამოცდილება სჭირია; საფრაზიანისამ ვერც ერთი და ვერც მეორე ვერ გამოიჩინა. აქაც შედარებით თუმასოვის ქალმა უკეთ შეასრულა თავისი როლი. დონ-ფერნანდომორანოს როლის ამსრულებელი იყო ენაბლუ ისე, რომ სიტყვის მაგივრად სტვენა გვესმოდა.

„მშაკმა" გვიკივის თეატრში გაუწრთვნელობა, მაგრამ სომხები ჩვენზედ უფრო უკან დარჩენილან. უდროო-უდროოდ „ბრავოს" ყვირილს ვინ დასთვლის; აღტაცებით ყვიროდნენ «bis»-ს; დრამაში bis?! ვაი ჩვენს მოსწრებას!...

**

დიდის ყურადღებით წავიკითხეთ „მშაკიდგან" გადმობეჭდილი რეცენზია ქართულ თეატრის შესახებ. რეცენზენტი ბ-ნი Nemo არ უნდა იყოს გულ-წრფელი დამფასებელი ხელოვნებისა. რეცენზენტი, უეჭველია, თვალ-დახუჭული შესულა თეატრში, რომ საფრანგის ქალი ვერ დაუნახავს (ყოფაანი, ვგონებ, მაშინ ტფილისში აღარ იყო). ჩვენ ისიკი არ გვიკვირს, რომ რეცენზენტი ბრმა გამოდგა, ის გვიდონებს, რომ «მშაკი» აძლევს ადგილს ამ გვარ უსუსურ წერილს, სადაც ავტორს საჭიროდ მაჩნია არტისტების წარსულის ცხოვრებიდამ მოიყვანოს ორიოდე მკვახე ცნობა, თითქოს ხელოვნურად თამაშობას რაიმე კავშირი ჰქონდეს არტისტის ბიოგრაფიასთან! რეცენზენტს თავის მოკვდაობისათვის გვერდი აუქცევია და ხავს მოსჭიდებია.

რეცენზია „მშაკისა" საყურადღებოა კიდევ იმით, რომ ავტორი მარტო არტისტებს კი არ გაიწუნებს, მთელს საზოგადოებასაც ცილსა სწამებს და ამცირებს: თუმცა არტისტები არ გვარგანან, მაგრამ საზოგადოება იმდენად მოუთხოვნელია, რომ არტისტის ფეხის წაბორძიკებაზედაც ტაშს უკრავს და გულიანად თითით ხვებსო. გამოდის, რომ არც არტისტები გვყავსან, არც ხელოვნების დაფასება გვიცით, არც რა ესტეტიურის გრძნობისა გვესმის. ერთის სიტყვით—არც თეატრი გვარგა, არც საზოგადოება. შეურაცხყოფილნი ვართ ჩვენ ყველანი. თავი გამოვიდოთ, თუ არა? გვიპასუხოს მკითხველმა.

„მშაკის" რედაქციისაგან წინადაც გვრთ გულ ნატკენი: გვახსოვს ენკენისთვეში მურაც ვგერი რომ დაუკრა „ვეფხვის ტყაოსანის" უსაფუძვლო კრიტიკაზედ. აქაც კრიტიკოსი ბრმა გამოდგა, ვერ შეუთანაზომა თავისი ვიწრო ფარგალში შემოზღუდული ნაციონალური გრძნობა მსოფლიო პოემას, როგორც დანტეს „ჯოჯოხეთი", ვერ დააფასა გულ-წრფელად შავდაგი ქმნილება—„უღვევლი ზღვა აზრთა და გრძნობათა".

„მშაკის" დასის ლიტერატორება და ბევრნი სხვანი მეტად დაუჯერებელი ხალხია, დიდი სკეპტიკები არიან,—აქამდის ვერ დაგვაჯერეთ ესენი, რომ „ქართლის ცხოვრება" მეთორმეტე საუკუნეში არ არის შედგენილი პირველად. თვალებს ჰხუჭავენ და ყურში ბამბას იცობენ—რა გავაგონოთ ამისთანა ხალხს! ქვა მივაგდოთ და გზა მშვიდობისა უნდა ვუსურვოთ, ამის მეტი აღარ დაგვრჩენია-რა. „სენკოვსკები" გამრავლდნენ, — ჩვენ შორს მთზედ, ქადილი და კადამი მაინც შეგვირჩნოთ....

**

ჩვენი სახელოვანი არტისტი სუმბათაშვილი „სიტყვიერების საზოგადოებამ" ამოარჩია თავის წევრად, როგორც დამსახურებული დრამატურგი.

ა. ...ნ...

## უცხოეთი

ბოლგარია. საწრაფელ-სამხედრო სასამართლოს რუშჩუკში ორი ერის კაცი, აფიცერი კისიმოვი და 125 ჯარის-კაცი გაუსამართლებია და ციხეში დამწყვდევა გადაუწყვეტია ყველასათვის.

— დაპატიმრებულ კარაველოვს, ცანოვს და სხვა მეამბოხეთ ძალიან სასტიკად მოჰქცევია ბოლგარიის სარეგენტო მთავრობა. საფრანგეთის წარმომადგენელს ბოლგარიაში მოუწადინია დაპატიმრებულთა ნახვა, ნება-რთვა უთხოვნია სარეგენტო მთავრობისაგან და მთავრობას ნება არ მიუცია. კარაველოვი, ცანოვი და ნიკიფოროვი სამხედრო სასამართლომ უნდა გაასამართლოსო.

— გაზ. „Journal des Dèbats"-ს დეპეშით აუწყებენ ვენიდგან: სარეგენტო მთავრობამ ბოლგარიისამ გამოაცხადა, რომ ყველა, ვისზედაც-კი მთავრობა ეჭვს აიღებს, შეიარაღებული იქნება, თუ შეუიარაღებელი, დახვრეტილი იქნებაო.

გერმანია. გაზ. „Morning Post"-ი ამბობს, რომ გერმანიაში ძალიან ესიამოვნათ ბოლგარიის სარეგენტო მთავრობის მიერ მეამბოხეთა და მაშფოთართა სასტიკად მოქცევის ამბავიო.

საფრანგეთი. გაზ. „Politische Correspondenz"-ს დეპეშით აუწყებენ პარიჟიდგან, რომ საფრანგეთში დიდის უნდობის თვალით უყურებენ იტალიის პოლიტიკას, მით უფრო, რომ იტალიის სამინისტრო კრიზისი ძალიან გაგრძელდა და ბოლო არ მოეღოვო. საფრანგეთს ძალიან აფიქრებს ის გარემოება, რომ იტალიას განზრახვა აქვს ტუნისი შემოიერთოს. ამის გამო საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო ამ ჟამად იმ პროექტის განხილვაშია, რომ ბიზერტში სამხედრო ნავთ-სადგური რაც შეიძლება ჩქარა გაამაგრონო. ბიზერტი ტუნისის ახლო მდებარეობს.

ავსტრი-ვენგრია. გაზეთი „Standard"-ი ამბობს, რომ როგორც უნდა მოიწადინოს რუსეთმა აღმოსავლეთის საქმის გადაწყვეტა, ავსტრი-ვენგრია თავის მოლოდინის პოლიტიკას თავს არ დაანებებსო. ავსტრია ამ ჟამად დიდს ყურადღებას აქცევს და თვალ-ყურს ადევნებს რუმინიასა და ბოლგარიას და ძალიან აფიქრებს სერბიისა და ჩერნოგორიის შეიარაღებაო.

— ბერლინიდგან სწერენ «Journal pe Debats»-ს: თუმცა ბერლინში ამ ჟამად ბევრსა ლაპარაკობენ და ბაასობენ იმაზედ, რომ ავსტრი-ვენგრიასა და რუსეთს განზრახვა აქვსთ დაუახლოვდნენ და შეუკავშირდნენ ერთმანერთს, მაინც ავსტრია გაცხარებულს მზადებაშიაო. მაგალითებრ, ლვოვში ჯარის სადგომები აუშენებიათ 70,000 კაცისათვის; ამას გარდა მთავრობამ გამოაცხადა, რომ 15 მარტისათვის სტანისლავოში 150,000 ჯარის-კაცისთვის საჭირო საზრდო-საგები უნდა იქმნეს მომზადებულიო; ტარნოპოლში ორი რაზმი ჰყავს ვენგრიის ცხენოსანთა ჯარისა დაბანაკებული მთავრობას. საზოგადოდ, ავსტრი-ვენგრიის ჯარი ამ ჟამად სულ შეიარაღებულია.

რუმინია. რუმინია ჯერ კიდევ თავს არ ანებებს შეიარაღებასა. ამ დღეებში ავსტრიიდგან ბუხარესტში მიუტანიათ რუმინიის მთავრობის მიერ შეკვეთილი 15 ვაგონი სხვა-და-სხვა თოფისა და ასაფეთქებელი წამლები და 15 ვაგონი კიდევ ზარბაზნებითა ყოფილა დატვირთული.

## გასართობი

მონადირე თათარი. ერთხელ ერთმა თათარმა დაინახა თურმე, რომ მონადირენი მიმინოს მიუტევენ მწყერს და დაიჭერს თუ არა მიმინო მწყერს, მაშინვე მონადირე ართმევს და სახლში მიაქვს. თათარმა იფიქრა:

—ეს კარგი ოსტატობა ვისწავლეო. თუ აგრე ადვილი ყოფილა ნადირობა, მაშ მეც ნადირობას დავიწყებო. დაიჭირა თურმე ყვავი, გასწია სანადიროდ და იმ იქ გაუშვა, სადაც მონადირენი მწყერს იჭერდნენ. ყვავი ძროხას დააჯდა. თათარს გაეხარდა და ეს ძროხა შინ წაიყვანა; მონადირეებს-კი კვეხნით უთხრა:

— თქვენი მიმინო პაწია მწყერს ძლივს იჭერს და ჩემმა კი ძროხა დაიჭირაო. მონადირეებს გაეცინათ. ამ დროს ძროხის პატრონიც მოვიდა და კისერში ჩაავლო თათარს ხელი:

— ძროხა მომეცი, ჩემიაო.

თათარმა უთხრა:

— ძიავ, რას ჩივი, ჩემმა მიმინომ დაიჭირაო.

**

ბურთაობა ინგლისში. ძველად ინგლისში ძალიან გავრცელებული იყო ბურთაობა. ახლა მხოლოდ დ ა რ კ ი ნ გ შ ი, ერთ პატარა სურრეის მაზრის ქალაქში, დარჩენილა ეს ჩვეულება. ბურთაობაში თურმე დიდ მონაწილეობას იღებს მთელი საზოგადოება. ბურთაობა იმართება ყოველ წელიწადს ყველიერის სამშაბათს; ინგლისის ყოველ მხარედგან ამ დღეს შეიკრიბება ხოლმე დიდძალი ხალხი. აი აღწერა ამ თამაშობისა, რომელიც სრულებით ჩვენებურს ბურთაობას მოგვაგონებს.

ნაშუადღევს, საათის ორზე, გავარდა ბურთი შუაგულ ქალაქში; მოთამაშენი გაიყვნენ ორ ნაწილად, ერთს მიაქვს ბურთი აღმოსავლეთისაკენ, მეორეს დასავლეთისაკენ დანიშნულ ლელომდე. ბურთი ტყავისა იყო და კარგა მოზრდილი. ასტყდა დიდი ბრძოლა და შეტაკება; მოთამაშეთა რიცხვი ორი ათას აღემატებოდა; ბურთი ხან ჰაერში დასტრიალებდა, ხან წყალში ჩავარდებოდა და ხან სახლების ფანჯრებს ლეწავდა ხოლმე. საღამოს ექვს საათზე დასძლია დასავლეთის მხარემ: მანამ ბურთი ლელოს მიაღწევდა, შეიქმნა საშინელი ალიაქოთი: აღმოსავლეთელებს უნდოდათ ბურთი გამოეგლიჯათ მოპირდაპირეთა ხელიდგან, მაგრამ ვერა გააწყეს-რა. წელს დასავლეთის მხარე შეიქმნა გამარჯვებული. როგორც ხედავს მკითხველი, თითქმის არავითარი განსხვავება არა ყოფილა ჩვენებურს, იმერულს, და ინგლისურ ბურთაობის შორის. მხოლოდ ერთი კარგი ჩვეულება ჰქონიათ იმათ: სანამ ბურთაობა დაიწყება, ფულს აგროვებენ თურმე იმ ზიანის საზღაურად, რომელიც მოხდება ხოლმე თამაშობის დროს. ჩვენში კი ხან-დის-ხან ეზო-გარემოს მიდუწ-მოჰქლეწავენ და ზღვევ ისა თვის-კი არავინ ყურსაც არ იბერტყს.

## დეპეშა

10 მარტი

პეტერბურგი. გამოცხადდა სახელმწიფო რჩევის გადაწყვეტილება, რომ შეცვლილიქმნას 920 მუხლი სისხლის სამართლის წესდებულებისა: საქმის მოხსენების შემდეგ უმთავრესმა თავ-მჯდომარე სენატორმა უნდა ჰკითხოს განსახილველ საქმეში მო-

ნაწილეთ, გსურთ თუ არა სთქვათ რამე სამართლის აღსადგენადა და მხურვალე ლაპარაკის ნება უნდა მისცეს. მუხლი 921. საქმეში მონაწილეთა ლაპარაკის შემდეგ, ობერ-პროკურორმა უნდა თავისი აზრი წარმოსთქვას წარმოდგენილ საბუთებზე, ხოლო ობერ-პროკურორის შემდეგ უკანასკნელი სიტყვა მაინც ბრალდებულსა და ანუ მის ვექილს ეკუთვნის. 922 მუხლი. საქმეში მონაწილეთა და ობერ-პროკურორის ლაპარაკის შემდეგ, საქმის მომხსენებელმა სენატორმა უნდა რამდენიმე კითხვა დაადგინოს და ეს კითხვები უნდა გარდაწყვეტილ იქმნენ. არა რთულ საქმეებში შეიძლება არ იქმნენ ეს კითხვები დადგენილნი.

ბერლინიდამ ამბავი მოვიდა, რომ აქ გარდაიცვალა ფინანსთა მინისტრად ნამყოფი გენერალ-ადიუტანტი გრეიგი.

ხმა გავრცელდა, რომ იმ ერთს გვარს ჩაიზე, რომელსაც რუსები „Плиточный чай“-ს ეძახიან, ჩინეთში ბაჟი დაადეს 4 მან. ოქროს ფულით. შეღავათი მხოლოდ იმ ვაჭრებს მიეცემათ, რომელთაც კონსულის მოწმობა ექნებათ რომ ჩაი რუსეთის ნაწარმოებიაო. ამასთან ჩაის რუსეთის ქარხნის დამღა უნდა ეკრას.

ბერლინი. იმპერატორის ვილჰელმის დაბადების დღეობა დიდის დიდებით გადაიხადეს. გერმანიის უნივერსიტეტების სტუდენტები ეტლებში ისხდნენ და ისე დადიოდნენ სასახლის წინ, სულ რამდენიმე ასი ეტლი იქნებოდა-ბერლინის მკვიდრთ თანაგრძნობა გამოუცხადეს იმპერატორს და იმპერატორმა დიდი მადლობა გადაუხადა. ამის შემდეგ სახელმწიფო გვარეულობის წევრთ მიულოცეს იმპერატორს.

11 მარტი

ბერლინი. გუშინ მემკვიდრე პრინცს სადილი ჰქონდა გამართული. სადილად ბრძანდებოდნენ იმპერატორი დედოფლითურთ და ყველა უცხოელნი უავგუსტესნი სტუმარნი. საღამოზედ წვეულობა სამეფო ციხე-დარბაზში იყო გამართული. ჩირაღდნები ისე კარგად იყო მოწყობილი, რომ თითქმის მთელს ქალაქს ანათებდა.

სოფია. სარევენტო მთავრობამ დიდს სამძარს მზადებას შეუდგა თავის ერთგულს ჯარის რაზმებს სამზადებრებისკენა ჰგზავნის; არა-სანდო-რაზმნი კი ვალდებულნი არიან შიდა ციხეები დაიჭირონ; განზრახვა აქვთ, რომ ტარნოვოს ახლო დიდად გამაგრებული სამხედრო ბანაკი დაამზადონ, ვარნას ამაგრებენ.

პარიჟი. პალატამ არ შეიწყნარა წინადადება იმათი, ვინც ითხოვდა ბაჟი მოემატოს ხიმინდზედ.

პეტერბურგის ბირჟა, 10-ს მარტს
ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდვე-ლისა | გამყიდ-ველისა | გაყიდუ-ლისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 17 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 178¼ |
| 5% პირველის შინაგანის სესხ. ს მოგები ბილეთი . . . . . . . | — » | — › | 247½ |
| — მეორისა . . . . . | — › | — › | 232¼ |
| გირავნობის ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — › | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — › | — › | — › |
| ტფილ სისს ურთიერთო ნდობი საზო კადოებისა. | — › | — › | — › |

სახელმწიფო ბანკის მოგებათა ტირაჟი 3 მარტს 1887 წ.

დანარჩენნი მოგებანი რგების შემდეგს 5% ბილეთებს მეორე შინაგანის სესხისას 1864 წლისას:

| №№ სერიისა | №№ ბილეთ. | №№ სერიისა | №№ ბილეთ. |
|---|---|---|---|
| 19 | 1 | 7486 | 23 |
| 346 | 1 | 8378 | 23 |
| 3493 | 1 | 17947 | 23 |
| 12120 | 1 | 18433 | 23 |
| 12569 | 1 | 19999 | 23 |
| 979 | 2 | 98 | 24 |
| 11459 | 2 | 10699 | 24 |
| 13884 | 2 | 12967 | 24 |
| 17626 | 2 | 16509 | 24 |
| 4774 | 3 | 7812 | 25 |
| 7424 | 3 | 9187 | 25 |
| 14208 | 3 | 9386 | 25 |
| 18303 | 3 | 9756 | 25 |
| 1420 | 4 | 10249 | 25 |
| 8166 | 4 | 10716 | 25 |
| 8782 | 4 | 15822 | 25 |
| 13798 | 4 | 19817 | 25 |
| 16046 | 4 | 340 | 26 |
| 16280 | 4 | 413 | 26 |
| 19074 | 4 | 4317 | 26 |
| 2042 | 5 | 6449 | 26 |
| 2924 | 5 | 8674 | 26 |
| 9717 | 5 | 12268 | 26 |
| 13463 | 5 | 15299 | 26 |
| 17061 | 5 | 18433 | 26 |
| 17792 | 5 | 2985 | 27 |
| 18685 | 5 | 3445 | 27 |
| 2533 | 6 | 3641 | 27 |
| 2856 | 6 | 10568 | 27 |
| 6214 | 6 | 11809 | 27 |
| 15361 | 6 | 15093 | 27 |
| 18579 | 6 | 2287 | 28 |
| 8602 | 7 | 10811 | 28 |
| 15955 | 7 | 13335 | 28 |
| 16256 | 7 | 16278 | 28 |
| 17467 | 7 | 17537 | 28 |
| 17471 | 7 | 19461 | 28 |
| 4899 | 8 | 11917 | 29 |
| 10372 | 8 | 13382 | 29 |
| 11219 | 8 | 2046 | 30 |
| 11475 | 8 | 3022 | 30 |
| 12197 | 8 | 5986 | 30 |
| 14182 | 8 | 9517 | 30 |
| 14467 | 8 | 14491 | 30 |
| 17152 | 9 | 16292 | 30 |
| 1284 | 11 | 16601 | 30 |
| 5275 | 11 | 701 | 31 |
| 10375 | 11 | 2067 | 31 |
| 12459 | 12 | 6013 | 31 |
| 14033 | 12 | 6105 | 31 |
| 16612 | 12 | 8787 | 31 |
| 19196 | 12 | 11591 | 31 |
| 19744 | 12 | 5784 | 33 |
| 695 | 13 | 5841 | 33 |
| 1243 | 13 | 8842 | 33 |
| 3608 | 13 | 12712 | 33 |
| 17479 | 13 | 13506 | 33 |
| 2328 | 14 | 14165 | 33 |
| 6939 | 14 | 14950 | 33 |
| 13138 | 14 | 4166 | 34 |
| 13291 | 14 | 6304 | 34 |
| 14168 | 14 | 13230 | 34 |
| 19570 | 14 | 15155 | 34 |
| 7052 | 15 | 15805 | 34 |
| 1968 | 16 | 17545 | 34 |
| 4418 | 16 | 17625 | 34 |
| 8826 | 16 | 9047 | 35 |
| 12148 | 16 | 9569 | 35 |
| 12204 | 16 | 11383 | 35 |
| 12643 | 16 | 12615 | 35 |
| 15187 | 16 | 17221 | 35 |
| 4780 | 17 | 2122 | 36 |
| 5633 | 17 | 7977 | 36 |
| 6649 | 17 | 11218 | 36 |
| 13957 | 17 | 15568 | 36 |
| 15063 | 17 | 19796 | 36 |
| 14513 | 17 | 849 | 37 |
| 19749 | 17 | 8401 | 37 |
| 1786 | 18 | 16553 | 37 |
| 2955 | 18 | 19164 | 37 |
| 4187 | 18 | 2212 | 38 |
| 5672 | 18 | 7390 | 38 |
| 8921 | 18 | 14521 | 38 |
| 10353 | 18 | 14703 | 38 |
| 11281 | 18 | 16705 | 38 |
| 13147 | 18 | 2919 | 39 |
| 14913 | 18 | 4449 | 39 |
| 15067 | 19 | 7698 | 39 |
| 1380 | 19 | 12828 | 39 |
| 1857 | 19 | 13420 | 39 |
| 9792 | 19 | 14513 | 39 |
| 10029 | 20 | 16087 | 39 |
| 10170 | 20 | 18833 | 39 |
| 15005 | 20 | 5284 | 40 |
| 17729 | 20 | 5534 | 40 |
| 18232 | 20 | 13833 | 40 |
| 5788 | 21 | 17493 | 40 |
| 10941 | 21 | 1311 | 41 |
| 14413 | 21 | 11851 | 41 |
| 17344 | 21 | 15451 | 41 |
| 4778 | 22 | 16369 | 41 |
| 4948 | 22 | 16549 | 41 |
| 8954 | 22 | 3507 | 42 |
| 16589 | 22 | 10873 | 42 |
| 3765 | 23 | 11170 | 42 |
| 3861 | 23 | 16331 | 42 |
| 5025 | 23 | 18076 | 42 |
| 5990 | 23 | 18498 | 42 |
| 7032 | 23 | 4045 | 43 |
| 7430 | 23 | 4893 | 43 |
| 8045 | 43 | 4038 | 47 |
| 10043 | 43 | 5713 | 47 |
| 12343 | 43 | 6437 | 47 |
| 13064 | 43 | 7819 | 47 |
| 13536 | 43 | 12463 | 47 |
| 17031 | 43 | 14420 | 48 |
| 11867 | 44 | 17403 | 48 |
| 18633 | 44 | 19708 | 48 |
| 549 | 45 | 715 | 49 |
| 2333 | 45 | 3210 | 49 |
| 9971 | 45 | 4271 | 49 |
| 12444 | 45 | 4408 | 49 |
| 15007 | 45 | 5088 | 49 |
| 16061 | 45 | 6812 | 49 |
| 16771 | 45 | 7007 | 49 |
| 5319 | 46 | 17773 | 49 |
| 11774 | 46 | 3916 | 50 |
| 16842 | 46 | 4164 | 50 |
| 17913 | 46 | 7034 | 50 |
| 18264 | 46 | 19444 | 50 |

ამ ბილეთებით მოგებულის ფულის მიღება შეიძლება მხოლოდ სახელმწიფო ბანკში ს.-პეტერბურგში, 1887 წლის 15 ივნისიდგან.

ნომრები სერიებისა, რომელთაც მოგება არ ერგოთ.

16544, 4550, 17987, 12879, 5994, 17673, 1317, 14706, 14125, 10744, 14794, 7502, 18031, 7160, 8814, 15509, 19447, 4239, 7159, 19804, 10724, 7989, 9566, 9, 12473, 12353, 5877, 3432, 7473, 17865, 13424, 13313, 11194, 1212, 9131, 10418, 10235, 10307, 18739, 8995, 15294, 3347, 16854, 199, 10574, 1562, 14144, 12286, 10320, 1830, 838, 17697, 13157, 6298, 7558, 3880, 12636, 16496, 3824, 4886, 3156, 5496, 1182, 14103, 2890, 10783, 7152, 1640, 6236, 13310, 255, 3278, 3063, 2051, 18657, 9763, 2215, 14185, 3557, 15654, 3519, 2125.

ამ ბილეთებისათვის სვედრის ფულის მიღება შეიძლება თვითოეულზე 125 მან. 1887 წლის 1 ივნისიდგან სახელმწიფო კანტორებსა და განყოფილებებში.

## საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ 7395.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წლისა. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

აღდგომა—5 აპრილს, ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24 25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მარტი 31 დღით არის

**12 დღე ხუთშაბათი.** ღირსისა თეოფილესი. კათოლ. გრიგოლისა და თიბერიასი. ჭეშმარიტი შუა დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—57, ჩადის 6—17. შობა მთვარისა 7 საათსა და 14 წუთზედ საღამოს.

**13 დღე პარასკევი.** ნიკიფორე პატრიარხისა. კათოლ. ეკატერინესი, ხრისტინასი და ზზიგნევასი. მუსულ. 1-ლი რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება მე-5 იმამის მამედ ბენი-ალისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—55, ჩადის 6—18.

**14 დღე შაბათი.** ღირსისა ბენედიქტესი. კათოლ. მატილდასი, ზაქარიასი და პეტრესი. სომეხ. წმ. 40 ყრმათა სებასტიელთა. დამტკიცებულ იქმნა მთავრობის მიერ წესდება კავკასიის არხეოლოგიის მოყვარეთა საზოგადოებისა, 1873 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 5—53, ჩადის 6—20. მთვარე 3 დღისაა.

**15 დღე კვირა.** წმ. მოწ. აღაპისა და ექვსთა მოწამეთა. მე-5 კვირა დიდ-მარხვისა. კათოლ. ლონგინისა და ლუკრეციასი. სომეხ. მე-28 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ. მე-3 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. გარდაცვლა იმამის ალი-თალიასი (შიიტებს).

**16 დღე ორშაბათი.** წმ. მოწ. საბიანესი. კათოლ. იულიანისა და გელიარისი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5 ტფილისში მზე ამოდის 5—50, ჩადის 6—22. მთვარე 5 დღისაა.

**17 დღე სამშაბათი.** ღირსისა ალექსი ღვთის კაცისა. კათოლ. გერტრუდისი და პატრიკიასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 5—48, ჩადის 6—23.

**18 დღე ოთხშაბათი.** წმ. ეკირილ იერუსალიმელისა. კათოლ. ედუარდისა და იუსტასი. მუსულ. მე-6 რიცხვი თთვისა რეჯაბისა, 1304 წ. ჰიჯრისა. დაბადება იმამის მურისა (შიიტ). ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—47, ჩადის 6—24.

**19 დღე ხუთშაბათი.** მოწ. ქრისანფესი და დარიასი. კათოლ. წმ. იოსებისა. სომეხ. მე-32 დღე დიდ-მარხვიდგან. მუსულ რაჰაიბის ღამე. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—4. ტფილისში მზე ამოდის 5—45, ჩადის 6—52. მთვარე 8 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

ნიხრი

1 მარტიდამ აპრილამდე.

| | | | |
|---|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა | . | 3 | |
| › | 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | | 5 | › |
| › | › 2— | 3½ | › |
| › | › 3 › | 3 | › |
| ჯვარის მამის პურის დუკანში | | | |
| 1 ლის ხარისხისა | . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა | . . | 4 | › |
| მე-3 — | . . . | 3½ | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | | 8 | › |
| › | 2 › | 7 | › |
| სუკი. | . . . | 14 | › |
| ცხვრის ხორცი | . . . | 10 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | | › | › |
| › | 2 › | › | › |

## სახელმწიფო განცხადებანი

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлиское Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანახმად დანიშნა თავის სამმართველოში საჯაროდ გასყიდვისათვის უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის ტფილისის მოქალაქეთ გაბრიელ და მიხეილ მელქუმოვებს და რომელიც იმყოფება მე-7 ავლაბრის ნაწილში, ქ. ტფილისში, „პოკროვის“ ყაზარმებთან ეს ქონება არის ერთ-სართულიანი სახლი სარდაფებით, მიშენებულით და ეზოთი, სულ მიწა სივრცით 115 ოთხ-კუთხი საჟენია, ეს მამული დაფასებულია ას თორმეტ თუმან ნახევრად (1,125 მან.), ამ ფულით უნდა გადახდილ იქმნას სახელმწიფო ვალი, რომელიც დაედო გარდაცვალებულს ტფილისის მოქალაქეს იოსებ მოსეს ძეს ყაზაროვს, დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა 1887 წელსა 8 მაისს, დილის 11 საათზედ, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქმნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში, სადაც შეეძლებათ განიხილონ დაწერილებით აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი ამ გასყიდვის შესახები. (3—1)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანახმად დანიშნა საჯაროდ გასყიდვისათვის თავის სამმართველოში უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულს პორუჩიკს ხვიმონ ჩუბალოვს და რომელიც იმყოფება ტფილისის მე-10 ნაწილში, აფთიაქის ქუჩაზედ. ეს მამული არის ერთ-სართულიანი სახლი ფლიგელით და სარაიათი; ამ სახლს თავის ეზოთი ეკუთვნის მიწა სივრცით 230 ოთხ-კუთხი საჟენი. ეს მამული დაფასებულია ხუთასს შვიდ თუმნად (5,070 მან.); ეს მამული იყიდება სახელმწიფო ვალის გადასახდელად, რომელიც დასდებია გარდაცვალებულს ტფილისის მოქალაქეს იოსებ ყაზაროვს. დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია ამა 1887 წელს 4 მაისს, დილის 11 საათზედ, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქმნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა სურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს დღეს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში, სადაც შეეძლებათ განიხილონ დაწერილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდები, ამ გასყიდვის შესახები. (3—1)

ტფილისის საგუბერნიო გამგეობამ (Тифлисское Губернское Правленіе) თავის გარდაწყვეტილების თანახმად დანიშნა საჯაროდ გასყიდვისათვის თავის სამმართველოში უძრავი ქონება, რომელიც ეკუთვნის გარდაცვალებულს ტფილისის მოქალაქეს იოსებ ყაზაროვს და რომელიც იმყოფება ქ. ტფილისის მე-9 ნაწილში, ნიკოლოზის ქუჩაზედ. ეს ქონება არის ერთ-სართულიანი ქვითკირის სახლი სამოსამსახურეთი და ეზოს ერთის ნაწილითა. სულ მიწა სივრცით 65 ოთხ-კუთხი საჟენია. ეს მამული დაფასებულია სამასს ორმოცდაათ თუმნად (3,500 მან.) და იყიდება იმ სახელმწიფო ვალის გადასახდელად, რომელიც დასდებია ყაზაროვს. დრო ამ მამულის გასყიდვისათვის დანიშნულია 1887 წელს 8 მაისს, დილის 11 საათზედ, ხოლო განმეორებითი ვაჭრობა (переторжка) იქნება სამს დღეს შემდეგ. ვისაცა ჰსურს ამ მამულის ყიდვა, უნდა მოვიდნენ დანიშნულს დღეს საგუბერნიო გამგეობის სამმართველოში (Присутствіе Губернскаго Правленія), სადაც შეეძლებათ განიხილონ დაწერილებითი აღწერილობა იმ მამულისა და აგრეთვე ყოველივე ქაღალდი, ამ გასყიდვის შესახები. (3—1)

## კერძო განცხადებანი

დაიბეჭდა ახალი საყმაწვილო წიგნი.

„მოლაღური“

ან. თუმანიშვილისა.

ფასი ერთი აბაზი

ისყიდება ტფილისში, ჩარკვიანისა და გრიქუროვის მაღაზიებში, ქუთაისში ჭილაძეების მაღაზიაში და სხვა ქალაქებში კი კერძო კაცებთან. (10—1)

Доз. ценз. Тиф. 11 марта, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე